ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №25

31 იანვარი 2013 წ.

სამშენებლო სამართალდარღვევისათვის შ.პ.ს. „სოკარ-ჯორჯია“ გაზის დაჯარიმების შესახებ

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შ.პ.ს. „სოკარ-ჯორჯია“ გაზი, 9 აპრილის ქუჩაზე წარმოებული მშენებლობის სანებართვო პირობების დარღვევისათვის დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

2. დამრღვევმა აღნიშნული თანხა ჩარიცხოს სამართლებრივი აქტის ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში შემოსულობების ერთიან ანგარიშზე ა/ა GE11LB0120133210302000 მიმღები ბანკი „ლიბერთი ბანკის“ ჩოხატაურის ფილიალი ს/კ 242008705.

3. დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ დამრღვევს დაეკისროს საურავი დაჯარიმების შესახებ ბრძანებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

4. დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს (გია გიორგაძე) ბრძანების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში გააცნოს ბრძანება დამრღვევს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან 15 დღის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია გაცნობის დღიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*